# "ხშირად დაიბანეთ ხელები - წელს განსაკუთრებით საშიში შტამებია!"



**აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის გენერალური დირექტორი დავით გადელია ნაწლავური ინფექციის განსაკუთრებით საშიშ ფორმებთან დაკავშირებით, საზოგადოებას აფრთხილებს.**

*“მეგობრებო, მაქსიმალურად მიაწვდინეთ ინფორმაცია ახლობლებს: ზაფხულობით, როგორც წესი, გავრცელებულია ნაწლავური ინფექციები; მაგრამ წელს არის განსაკუთრებით საშიში შტამები! ჩემი კლინიკის გამოცდილი და საუკეთესო პროფესორებიც ვერ იხსენებენ ასე მძიმედ მიმდინარე ამდენ შემთხვევას – დაავადების დაწყებისთანავე იწყება თირკმლების უკმარისობა, ხშირად მუცელში სითხის დაგროვება და სისხლი გამონაყოფში…*

*ინფექციებში და ეპიდემიოლოგიაში ჩემთვის ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა და მეგობარმა, Paata Imnadze მ გამახსენა, რამოდენიმე წლის წინ გერმანიაში გავრცელებული ეპიდემია- ჩვენთან ახლა, ეშერიხია კოლის სწორედ ის შტამებია გამომწვევებიო.*

*პროფილაქტა პირველ ყოვლისა! ძალიან ხშირად დაიბანეთ ხელები და დაბანეთ ბავშვებს (ბავშვებში, სამწუხაროდ უფრო მძიმედ მიმდინარეობს) და ძააალიან კარგად გარეცხეთ ბოსტნეული, საკვები, გამდინარე ონკანის წყლით!!*

*პირღებინების, ფაღარათის, სისხლიანი განავლის შემთხვევაში*

*აუცილებლად დასაწყისშივე მიმართეთ ექიმს!! მოეკიდეთ სერიოზულად, სამწუხაროდ ბევრი დამძიმებული ავადმყოფი გვიწევს ამ, თითქოს უმნიშვნელო სიმპტომებით დაწყებული" — წერს სოციალურ ქსელში დავით გადელია.*

**newposts.ge**